1 დეკემბერი

კვირა 2024

ადვენტის I კვირადღე, «გ», [I], ი

იერ 33,14-16; ფს 24; 1თეს 3,12 – 4,2; ლკ 21,25-28.34-36

ახალი ლიტურგიული წლის დასაწყისი

ჟო-ველწამს იფხიზლეთ და ილო-ცეთ ლკ 21,36

ადვენტის ჟამის დაწყებით გვამზადებს ეკ-ლესია იესოსთან შესახვედრად, პრეზე-პეს - საშობაო სცენის სიღარიბისა და მისი დიდებული მოსვლის ფონზე. თავად იესო სიფხიზლისაკენ მოგვიწოდებს, რათა არ გამოვაკლდეთ ამ ძვირფას შეხვედრას და „გამუდმებულ ლოცვაში“ გვიხმობს. სხვადა-სხვა სახის ლოცვებში შეგვიძლია ავირჩიოთ და გულში გავიმეორეოთ სიტყვა, რომელსაც ყოველდღიურად გვთავაზობს წინამდებარე კალენდარი.

(19.XI) წმ. ილარიონ ქართველი, მონაზონი, +875, (მ), თ

ეს 2,1-5; ფს 121; მთ 8,5-11

მოვალ და განვკურნავ მას მთ 8,7

რარიგ კეთილი ხარ, იესო: შენ იხილე ადამიანური ტანჯვა, სიყვარული და თავმდაბლობა, უპირველესად, შენდამი რწმენა! მზად ხარ ჩვენი ხმის მოსასმენად და ჩვენც გეუბნებით: უფალო, საკმარისია ერთი სიტყვა თქვა და შენი სიტყვა გვიხსნის ჩვენ!

3 დეკემბერი

სამშაბათი
2024

ადვენტის ჟამის I კვირა [I]

წმ. ფრანცისკე ქსავიერ, ხუცესი, იეზუიტი მისიონერი, +1552 სანჩოანის კუნძულზე (ჩინეთი), (მ), თ

ეს 11,1-10; ფს 71; ლკ 10,21-24

ჟო-ველიევ მო-მეცა მამარემისაკან ლკ 10,22

მადლობა, იესო, შენი სათნოების მაგალითისთვის. შენ, ვინც ყველაფერში ემორჩილებოდი მამას, მთელ თავის სიყვარულს შენთვის იმეტებს. შენგან მსურს ვისწავლო, იესო, როგორ ვიცხოვრო მამაზე სრულიად მინდობილმა. შენ ხარ სიბრძნე, მამის გაცემული სიყვარული ჩვენზე, ღარიბებზე და ცოდვილებზე. შენში მკვიდრობს სავსე ღმრთაებრიობა.

4 დეკემბერი

ოთხშაბათი:
2024

ადვენტის ჟამის I კვირა [I], ი

წმ. იოანე დამასკელი, ხუცესი, ეკლესიის მოძღვარი, +≈749 იერუსალიმის მიდამოებში

ეს 25,6–10; ფს 22; მთ 15,29–37

იესომ აიღო შვიდი პური, მადლი შესწირა მთ 15,36

როდესაც იესომ დაინახა დამშეული ბრბო, რომელიც სამი დღის მანძილზე ფეხდაფეხ დასდევდა, მიიღო მოწაფეებისგან ცოტაოდენი პური და თევზი. მადლს სწირავს მამას და ბრბოს ურიგებს. აჰა, საოცრება: საჭმელი ყველას ეყო და მორჩა კიდეც! როდესაც ჩვენს მცირედს ვუძღვნით იესოს, იგი მას მრავალთთვის სასიკეთოდ აქცევს.

5 დეკემბერი

ხუთშაბათი
2024

ადვენტის ჟამის I კვირა [I], ი

ეს 26,1-6; ფს 117; მთ 7,21.24-27

ცათა სასუფეველში შევა ის, ვინცა ასრულებს მამაჩემის ნებას მთ 7,21

ღმერთის სამეფო სულიწმიდაში სიყვარული, სიხარული და მშვიდობაა. ყოველ ჯერზე, როცა ხალისით ვასრულებთ იესოს ნებას, ვისმენ მის სიტყვას, თუნდაც მაშინ, როდესაც ამ სიტყვას მოძმენი გადმომცემენ, ჩვენს შორის მისი სამეფოს მშვენიერებას ვგრძნობ.

6 დეკემბერი

 პარასკევი
2024

ადვენტის ჟამის I კვირა [I]

წმ. ნიკოლოზი, მირას ეპისკოპოსი, +≈350 (თ)

ეს 29,17-24; ფს 26; მთ 9,27-31

თქვენი რწმენისამებრ მოგეგოთ თქვენ მთ 9,29

როდესაც იესოს ქრისტესმიერ ძმებთან ერთად მდაბალი და იმედიანი გულით მივმართავ, იგი მზად არის ჩვენს დასახმარებლად. ამას დღევანდელი სახარება გვიმეორებს. ორ ბრმას თვალები აეხილა: მათ ირწმუნეს, რომ იესოს შეეძლო ამის გაკეთება და შეთანხმებულად მიმართეს მას თავიანთი თხოვნა.

7 დეკემბერი

შაბათი
2024

ადვენტის ჟამის I კვირა [I]

წმ. ამბროსი, მილანის ეპისკოპოსი, ეკლესიის მოძღვარი, +397, (მ), თ

ეს 30,19-21.23-26; ფს 146; მთ 9,35-38 – 10,1.6-8

უსასყიდლოდ მიგიღიათ,
უსასყიდლოდ გაეცით მთ 10,8

უანგარო სიყვარული ღმრთისაგან მოდის: სამაგიეროს იგი არ ითხოვს. ჩვენთვისაც საამოა იგივე სიყვარულის განცდა. იესო მთელი ძალით ურჩევს თავის მოციქულებს, რომ ამავე სიყვარულით იცხოვრონ: ასე გახდებიან მამის მოწმენი და მაუწყებელნი.

8 ივნისი 2024

დეკემბერი

უმანკოდ ჩასახვა
ნეტარი ქალწული მარიამისა, დდ, [ს], თ

დაბ 3,9-15.20; ფს 97; ფილიპ 1,4-6.8-11; ლკ 1,26-38

ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

უზენაესის ძე დაერქმევა ლკ 1,31

ღვთისმშობლის ყველა დღესასწაული კარგი პირობაა იესოს - მარიამის ძის შესაცნობად. ხარობს მარიამი: იგი თვინიერი მსახურია, მზად არის თავად გაუჩინარდეს, ოღონდაც ძე დადგეს ცენტრში, რომელიც ანგელოსმა უზენაესის ძედ აუწყა. იგი ადამთან სულიერი კავშირის გარეშე იქნა ჩასახული, რათა გამხდარიყო დედა იმ ძისა, ვინც ამა სოფლის ცოდვებს წარხოცდა.

9 დეკემბერი

ორშაბათი
2024

წმ. ხუან დიეგო კუაუჰტლატოაწინი, +1548

ეს 35,1–10; ფს 84; ლკ 5,17–26

ადამიანო, მოგიტევა შენი ცოდვები ლკ 5,20

იესო, შენს წინ დამბლადაცემულია; იგი ჭერიდან ჩამოიყვანეს, რადგანაც ბრბო არ უშვებდა შენამდე. ხოლო შენ უსაზღვრო სიყვარულს გასცემ მასზე: ცოდვებს მიუტევებ. ის უკვე ახლოსაა მამის გულთან, გრძნობს მის გულისცემას...
ჯანსაღი ვარ თუ სნეული, შენ ჩემს სევდასაც ხედავ იესო. შემინდე ცოდვები!

10 დეკემბერი

სამშაბათი
2024

ადვენტის ჟამის II კვირა [II], ი

ლორეტოს ნეტარი ქალწული მარიამი

ეს 40,1-11; ფს 95; მთ 18,12-14

კაცს რომ ასი ცხვარი ჰქონოდეს... ეკონა არ წავა ერთი დაკარგულის საძებრად? მთ 18,12

იესო თავის გულს გვიმჟღავნებს. თუკი მორწმუნეებიდან ვინმე „მცირეთაგანი“ დაიკარგება, იგი მის საძებრად გაეშურება, რომ ფარაში დააბრუნოს. სწორედ ასე დაემართა იმ ჭაბუკს, ვინც წლები და ენერგია შესწირა სპორტულ ცხოვრებას და შინაგანად გამოფიტული აღმოჩნდა. იესომ კვლავ „იპოვა“ იგი და მასში ახალგაზრდა მისიონერის წყალობით გააღვიძა სიყვარული.

11 დეკემბერი

ოთხშაბათი:
2024

ადვენტის ჟამის II კვირა [II], ი

წმ. დამას I, პაპი, +384 რომში

ეს 40,25-31; ფს 102; მთ 11,28-30

ისწავლეთ ჩემგან, ვინაიდან ვარ მშვიდი და მდაბალი გულით

მთ 11,29

არაერთხელ გვწვევია ცდუნება ისეთი ადამიანით აღფრთოვანებისა და მიბაძვისა, ვისაც წუთისოფელი განადიდებს. შედეგად ვიღებთ მას, რომ უძლურნი, დაჩაგრულნი, უიმედონი და დარდით შეპყრობილნი ვართ. „ისწავლე ჩემგან“, გვეუბნება იესო; მიბაძეთ ჩემს თვინიერებას და თავმდაბლობას და თქვენი გული ჰპოვებს სიმშვიდეს, სიხარულს, ძალას. იესო, შენ ჩემი მეგზური ხარ. საამურია შენი მიმდევრობა, რამეთუ გიყვარვარ.

12 დეკემბერი

ხუთშაბათი
2024

ადვენტის ჟამის II კვირა [II], ი

(29.XI) წმ. აბიბოს ნეკრესელი, ეპ., წამ., VIIს.; გვადალუპეს ნეტარი ქალწული მარიამი, 1531, ამერიკის კონტინენტების მფარველი

ეს 41,13-20; ფს 144; მთ 11,11-15

ვისაც ყურნი აქვთ, ისმინონ მთ 11,15

იესო ამხნევებს იოანე ნათლისმცემელს და ეუბნება, რომ იგი „ყველაზე დიდია... დედა-კაცთაგან შობილთა შორის“. ამით აცხადებს, რომ ცათა სასუფეველში უმცირესი მასზე დიდია. ამ სიტყვებს მხოლოდ სულიწმიდით შევიცნობთ უკეთ. ცათა სასუფეველში ყველა პატარაა და ამავდროულად, ყველა „დიდია“, რამეთუ ისინი მისი მისტიკური სხეულის წევ-რნი არიან.

13 დეკემბერი

ადვენტის ჟამის II კვირა [II]

ჰარასკევი 2024

წმ. ლუცია, ქალწული და წამებული, სირაკუზაში +404, (მ), წ;
(30.XI) წმ. ვახტანგ გორგასალი, +502;
წმ. ჰეტრე კათ., VIს; წმ. სამოელ კათ., V–VIსს

ეს 48,17–19; ფს 1; მთ 11,16–19

მე ვარ უფალი, ღმერთი შენი ეს 48,17

როდესაც ამ სიტყვებს ვუსმენ, მეჩვენება, რომ ვხედავ მამის კეთილ სახეს და საიმედო ხელებს, დედის თბილ თვალებს და ნაზ ალერსს. დიახ, ჩემო ღმერთო და ჩემო მამაო, შენ გსურს, შემაგონო ჭეშმარიტი სიკეთე და მისკენ გამიძღვე, რათა შენთან ზიარებაში ვიცხოვრო. იმ წუთებში, როდესაც ვერ გამიგებენ და გამლანძღავენ, გამლანძღავენ შენი სახელით, შენ ჩემს გვერდით იქნები.

14 დეკემბერი

შაბათი
2024

ადვენტის ჟამის II კვირა [II]

წმ. იოანე ჯვრისა, კარმელიტელი ხუცესი, ეკლესიის მოძღვარი, +1591 უბედაში (ესპანეთი), (მ), თ

ზირ 48,1-4.9-11; ფს 79; მთ 17,10-13

კაცის ძეს მართებს იტანჯოს მათი მიზეზით მთ 17,12

იმ მთის ძირში ვართ, სადაც იესოს, ფერიცვალების ჟამს, თავისი სამი მოციქული განჭვრეტდა. იესო ურჩევს მათ, რომ მხოლოდ მისი აღდგომის შემდეგ მოეყოლათ ის, რაც იხილეს. დიახ, იგი ხომ იოანე ნათლისმცემლის მსგავსად იქნებოდა მოკლული ამა ქვეყნის ძლიერთა ხელიდან. იესო კვლავაც სწუხს, თავის ეკლესიაში, ძლიერთა ძალადობისა და უარყოფის გამო. თუმცა, ის ცოცხალია, აღმდგარია და კვლავაც წინ მიუძღვის თავისიანებს.

15 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲙᲕᲘᲠᲐ 2024

ᲐᲓᲕᲔᲜᲢᲘᲡ III ᲙᲕᲘᲠᲐᲓᲦᲔ, «Გ», [III], 3

[(2.XII) წმ. ისე წილკნელი, ეპისკოპოსი,VIს.]

სოფ 3,14-18; საგ.: ეს 12,2-6; ფილიპ 4,4-7; ლკ 3,10-18

ის მოგნათლავთ სულიწმიდასა და ცეცხლში ლკ 3,18

იესოს მოლოდინში ვართ. იგი „მოგნათლავთ სული წმიდითა და ცეცხლით“: შთაგვფლავს მამის ცხოვრებაში, რომელიც სიყვარულია; იმ სიყვარულში, რომელიც ათბობს, აცოცხლებს და განწმენდს. ამ ლამაზი და მნიშვნელოვანი შეხვედრისთვის გვამზადებს იოანე ნათლისმცემელი, ვისაც უზენაესი განგება ჩვენს გზაზე აყენებს.

16 დეკემბერი

ორშაბათი
2024

ადვენტის ჟამის III კვირა [III], ი

რიცხ 24,2-7.15-17; ფს 24; მთ 21,23-27

იოანეს ნათლობა საიდან მოდიოდა? მთ 21,25

უფალო იესო, შენი წინამორბედის ღვაწლი, ისევე როგორც შენი „ავტორიტეტი“, მამასთან – შენს მომავლინებელთან მჭიდრო და ღრმა კავშირიდან მოდის.
თვინიერი, მორჩილი და დიდსულოვანი ვიქნები შენს წინაშე, ვინც განახლებული და სავსე ცხოვრების მოსანიჭებლად მოდიხარ.

17 დეკემბერი

სამშაბათი
2024

შობის ნოვენის დასაწყისი [ს], ი

წმ. ბარბარე, ქალწ. წამ., +III-IVსს

დაბ 49,2.8-10; ფს 71; მთ 1,1-17

მ. კონსტანტინე საფარიშვილის გახსენება (+1973)

მოვა ის, ვისაც ელოდების ხალხთა მორჩილება დაბ 49,10

ყველანი იესოს შობის მოლოდინში ვართ, რომელმაც უკვე შემოაბიჯა ისტორიაში და ისევ მოდის თავის ეკლესიაში, ვითარცა მწყემსი კეთილი, სანუკვარი მრჩეველი, ზეციერი მამის სიტყვა და არსობა.
მადლობა, იესო, იმ წყალობისათვის, რითაც შევძლებთ წლევანდელ წელს უფრო მეტად გადაგიშალოთ გული, მიგიღოთ და შენს მორჩილებაში მოვემზადოთ.

18 დეკემბერი

ოთხშაბათი:
2024

შობის ნოვენა [ს], ი

იერ 23,5-8; ფს 71; მთ 1,18-24

უწოდებენ სახელად ემანუელს მთ 1,23

წინასწარმეტყველებები სრულდება: ქალწულიდან იშვება მაცხოვარი. სახელად ეწოდება "ემანუელე" - ღმერთი ჩვენთან არს, ღმერთი, ვისაც ვუყვარვართ, თვით ცოდვაშიც კი. აქვეა იოსები, თვინიერი და მდუმარე კაცი, ვინც გულისხმას -ჰყოფს მხოლოდ მამის ნების აღსასრულებლად, ვინც ქალწულის ძეს ღვთის ულამაზეს სახელს უწოდებს.

19 დეკემბერი

ხუთშაბათი
2024

შობის ნოვენა [ს], ი

მსჯ 13,2-7.24-25ა; ფს 70; ლკ 1,5-25

უდალმა დალოცა ის მსჯ 13,24

ჩვენს ღმერთს, მოწყალე მამას, სამშვიდობო ზრახვები აქვს თავის ხალხზე. მონობის ეპოქებში და მისგან გამომდინარე სოციალურ სიღატაკეში, ღმერთი ყოველთვის მოუვლენდა ხალხს განმათავისუფლებელს. დღეს მის კიდევ ერთ სასწაულს ვხედავთ: უნაყოფო ქალისგან იშვება სამსონი, რომელიც მისი ლოცვა-კურთხევით იზრდება. ჩვენ კი, განსაცვიფრებელი გზით, საბოლოოდ გვიბოძა იესო, ვითარცა მაცხოვარი, რომელიც გვიხსნის ცოდვისგან - მრავალი ბოროტების სათავისგან.

20 დეკემბერი

პარასკევი
2024

შობის ნოვენა [ს], ი

ეს 7,10-14; ფს 23; ლკ 1,26-38

მ. შალვა ვარდიძის გახსენება (+1958)

მის მეფობას არ ექნება დასასრული ლკ 1,33

ნუ გეშინია მარიამ! მეც, როგორც მარიამის შვილს, როგორც ეკლესიის შვილს, არ უნდა მეშინოდეს. დიდია იგი, ვისაც მამა მოგვივლენს: "მისი სამეფო არ დასრულდება". მასთან ერთად მოვიპოვებ ცხოვრებაში გულის სიმშვიდეს.

აჰა, მამაო: მსურს მივიღო საუკუნეებიდან გამზადებული შენი ძღვენი და მასთან ერთად, მივიღო შენი გული!

21 დეკემბერი

შაბათი
2024

შობის ნოვენა [ს], ი

წმ. პეტრე კანიზიუსი, იეზუიტი ხუცესი, ეკლესიის მოძღვარი, +1597 ფრიბურში (შვეიცარია)

ქებ 2,8–14 ან, სოფ 3,14–17; ფს 32; ლკ 1,39–45

ნეტარია, ვინცა ირწმუნა ლკ 1,45

ჩვენი დედა, ღვთისმშობელი მარიამი, მთელი არსებით მიენდო ანგელოზის ნაუწყებ ღვთის სიტყვას და მზად არის ხორცი შეასხას მას. ასე ჰპოვა მან სიხარული და სიმშვიდე. იმ წუთებში, როდესაც იესოს სიტყვისადმი ჩვენც ვიჩენთ მზაობას, უტყუარ და უკვდავ მადლად გვებოძება მისი ნეტარება. უზომო სიხარული, რომელიც გაწეული ჯაფის სანაცვლოდ მოგვეგება!

22 დეკემბერი

კვირა

2024

ადვენტის IV კვირადღე, «გ», [IV], ი

მიქ 5,2-5(ებრ. 1-4); ფს 79; ებრ 10,5-10; ლკ 1,39-45

სიხარულით შეიძრა ჩვილი ლკ 1,44

მაცხოვარი იესო წუთისოფელში დაეშვა: მარიამის უწმიდეს კალთაში ჩაფლული ყრმა, უკვე სიხარულს ჰფენდა ირგვლივ, ენით აუწერელ სიხარულს; ამ სიხარულმა შეატოკა კიდევ ერთი ყრმა, მისი ბიძაშვილის - ელი-საბედის კალთაში ჩამალული. ჩვენც სიხა-რულით ვხტით იესო შენი მოსვლის გამო და, გპირდებით, რომ მოგიყვანთ წუთისოფელში.

23 დეკემბერი

ორშაბათი

2024

შობის ნოვენა [ს], ი

წმ. იოანე კენტელი, ხუცესი, +1473 კრაკოვში (პოლონეთი)

მალ 3,1-4.23-24; ფს 24; ლკ 1,57-66

უფლის ხელი იქო- მასთან ლკ 1,66

ეს იოანე ნათლისმცემელია: ხანდაზმული მშობლების პირმშო, რომლებმაც ლოცვისა და ერთგულების გზით, თვით მცირედ საქმეებში, გული და სიცოცხლე შესწირეს უფალს. ის ჩვენი გზის ნათელია: „უფლის ხელი“ ქომაგობს, იცავს და მიუძღვის ჩვენს შვილებს, რადგანაც ღირსეულ ადგილს ვუთმობთ ჩვენს ცხოვრებაში.

24 დეკემბერი

სამშაბათი
2024

შობის ნოვენა [ს], ი
შობის ვიგილია [ს], თ

(11.XII) ყოველნი წმიდანი, საქართველოში წამებულნი

დილის წირვა: 2მეფ 7,1-5.8ბ-12.14ა.16; ფს 88; ლკ 1,67-79
საღამოს წირვა: ეს 62,1-5; ფს 88; საქმ 13,16-17.22-25; მთ 1,1-25
ღამის წირვა: ეს 9,1-6; ფს 95; ტიტ 2,11-14; ლკ 2,1-14

უფალმა მოსძღა და ეაუმზადა
ეამოსძიდვა თავის ხალხს ლკ 1,68

რაოდენ დიდია შენი სიკეთე, მამაო: შენ მოგვივლინე იესო, მხოლოდშობილი ძე შენი, რათა დახსნილნი ვიყოთ ცოდვისგან, რომელიც გვამონებს. მადლობა, იესო, რამეთუ შენი მიტევებით გულიდან შლი და წარხოც ცოდვის მძიმე ტვირთს. მადლობა ეკლესიაზე მინიჭებული ძვირფასი მსახურებისთვის, რომელიც ცოდვათა მიტევებაა. მადლობა, რამეთუ მიტევებით გვანიჭებ და გვმოსავ წყალობით, რათა უფრო მეტად გავძლიერდეთ განსაცდელის ჟამს.

25 დეკემბერი

ოთხშაბათი: 2024

ქრისტეშობა, დდ, [ს], თ

(12.XI) წმ. იოანე ზედაზნის წინამძღვარი, აბატი, IXს.

განთიადის წირვა: ეს 62,11-12; ფს 96; ტიტ 3,4-7; ლკ 2,15-20
დღის წირვა: ეს 52,7-10; ფს 97; ებრ 1,1-6; იო 1,1-18

თქვენთვის იშვა მაცხოვარი ლკ 2,11

იმ დროს, როდესაც კეისარი ავგუსტუსი თავის სამხედრო ძალაუფლებას და თავის პოლიტიკურ მოვალეობას ასრულებდა, მამა ღმერთმა თავისი ძე მოავლინა წუთისოფელში უდიდეს სიღარიბესა და სიმდაბლეში. ეს ჭეშმარიტი მაცხოვარია, რომელიც გვიხსნის ძლიერი მტრისაგან, სიყვარულში რომ გვაბრკოლებს. ეს მაცხოვარია, რადგანაც ადამიანთა შორის სიყვარულს განავრცობს, ძალდაუტანებლად. მადლობა, მამაო, ყრმა იესოს მოძღვნისთვის!

26 დეკემბერი

ხუთშაბათი
2024

წმ. სტეფანე პირველწამებული, დ, [ს], წ

საქმ 6,8-10.12; 7,54-60; ფს 30; მთ 10,17-22

ოზურგეთის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

თქვენი მამის სული ლაპარაკობს თქვენში მთ10,20

დღეს, იესოს პირველი მოწმის, პირველმოწამე წმინდა სტეფანეს ხსენების დღეა. წუთისოფლად მოსული „ჭეშმარიტი ნათელი“ , მამის სიყვარული, ვინც თავის წიაღში მიიღო იგი, მისი სიტყვის წყარო იყო: სიტყვა სიბრძნისა, გამოცხადებისა, პატიებისა, იმ წუთებშიც კი, როცა სიძულვილი მძვინვარებდა მის წინააღმდეგ.
იესო, დაე, თავმდაბლობით მიღებული ნათელი შენი მოსვლისა და ძალა შენი აღდგომისა, შენს მოწმეებად გვაქცევდეს.
დიდება შენდა!

27 დეკემბერი

პარასკევი
2024

წმ. იოანე, მოციქული
და მახარებელი, დ, [ს], თ

1იო 1,1-4; ფს 96; იო 20,2-8

ჩვენი მოზიარეობა არის მამასთან
და მის ძესთან, იესო ქრისტესთან 1იო 1,3

დღეს იოანე მოციქულის დღესასწაულია, მოწაფე, რომელმაც უკანასკნელ სერობაზე თავი მიადო მკერდზე იესოს. იგი ხარობდა ცხოვრებისა და სიყვარულის ზიარებით მასთან და მისი სახელით, მამასთან. თავისი ნაწერით კვლავ აგრძელებს ჩვენთან ამ წყალობათა გაზიარებას. დღეს მადლს ვწირავთ მას და მხურვალე ზიარებაში ვართ მასთან.

28 დეკემბერი

შაბათი
2024

წმ. ჩვილნი ქრისტესათვის
წამებულნი, დ, [ს], წ

1იო 1,5–2,2; ფს 123; მთ 2,13-18

თუ კი ნათელში დავდიოვართ,...
თანაზიარება გვაქვს ერთმანეთთან 1იო 1,7

წმინდა იოანემ, სხვა მოციქულებთან ერთად განიცადა ჭეშმარიტი ზიარება იესოს მიმდევრობით. მათთან ერთად, ჩვენც ვიზიარებთ უწყების სირთულეს, ძმობის სიხარულს და ერთსულოვნებას.
იესოს სახელის გამო მოკლული, გულუბრყვილო ბავშვები, დიდ საზღაურს მიიღებენ. უმანკოებმა, თავიანთი დათხეული სისხლით დაამოწმეს მისი მოსვლა.

29 დეკემბერი

29 კვირა 2024

იესოს, მარიამისა და იოსების
წმიდა ოჯახის დღესასწაული, «გ», [ს], თ

[წმ. თომას ბეკეტი, კენტერბერის ეპისკოპოსი, წამებული, +1170]

1მეფ 1,20-22.24-28; ფს 83; 1იო 3,1-2.21-24; ლკ 2,41-52

გორის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

იესო იზრდებოდა სიბრძნეში ლკ 2,52

მარიამმა და იოსებმა სწორედ მაშინ მიაგნეს იესოს ტაძარში, როდესაც წმინდა წერილის მოძღვრებს უსმენდა და ესაუბრებოდა, რომლებსაც უკვირდათ მისი ინტერესი და ჩართულობა. მან იცოდა, რომ წმინდა წერილი „თავისი მამის“ სიტყვა იყო. ნაზარეთში დაბრუნებული კი „ემორჩილებოდა მათ“: ეს კიდევ ერთი ნიშანია „სიბრძნეში“ მისი ზრდისა. მორჩილი ადამიანი ისე ცხოვრობს, როგორც თავმდაბალი და მადლიერი შვილი.

30 დეკემბერი

ორშაბათი
2024

შობის მსგეფსის VI დღე [ს], თ

1იო 2,12-17; ფს 95; ლკ 2,36-40

ელაპარაკებოდა რვილმე ყველას, ვინც კი
ტაძარსიდგას მოელოდა იერუსალიმში ლკ 2,38

თვით ანნამ, მთელი ცხოვრება რომ ტაძარში მსახურობდა, შეისმინა ღვთისმოსავი სიმეონის წინასწარმეტყველება, ვინც ყრმა იესოში აღიარა "ნათელი წარმართთა და დიდება ისრაელის ხალხისა". ამაზე დიდი სიხარული არ არსებობდა მისთვის: მას უნდა ელაპარაკა მასზე. აუწყებდა ყოველ კაცს, ვინც მის მსგავსად ელოდა აღთქმულ მაცხოვარს.

31 დეკემბერი

სამშაბათი
2024

შობის მსგეფსის VII დღე [ს], თ

წმ. სილიბისტრო I, პაპი, +335 რომში

1იო 2,18-21; ფს 95; იო 1,1-18

სიტყვა იქმნა ღმერთთან იო 1,2

წმიდა იოანე წარმოგვიდგენს იესოს, ვითარცა სიტყვას მამისა, რომელიც მარადისობიდან მასთანაა, და ყველაფერში ჩვენს მსგავსს, გარდა ცოდვისა. იგი ყოველთვის მამისაკენ ისწრაფვოდა და ისწრაფვის; მუდამ იყო, არის და იქნება მამასთან ერთი გულით და ერთი სულით. ის ხომ აცხადებს: «მე და მამა ერთი ვართ“. მოდით, ჩვენც გავიზიაროთ მისი ცხოვრება, რომელიც ზეციურ რეალობას გვაგემებს და ახალი წელიც იქნება სიყვარულის ნაყოფით სავსე და განათებული!